ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

ალიონი

გაზეთი გამოდის
1931 წლის
5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №13-14 (9907), 16 აპრილი, 2012 წ. ფასი 30 თეთრი.

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

ეკლესიის ეპარქიის და ეროვნული საქართველოს ყველაზე აღდგომის ჭეშმარიტებით ილოცავ



„შალვა ჩემო“ — ამერიკაში

გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში „ჩვენებურების“ მიწვევით ფოლკლორული ტრიო „შალვა ჩემო“ გაემგზავრა. ტრისტან, გური სიხარულიძეები, მერაბ კალანდაძე ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფთან ერთად 10 დღის განმავლობაში კონცერტებს გამართავენ ვაშინგტონში, ნიუიორკში, ფილადელფიაში. ქართველები ფოლკლორთან ერთად ამერიკელებს აჩვენებენ ხალხური რეწვის ნიმუშებს, კულინარიულ ნაწარმს.

როგორც „შალვა ჩემოს“ ხელმძღვანელმა ტრისტან სიხარულიძემ გვითხრა, „ჩვენებურების“ პროგრამის დამთავრების შემდეგ მათ მასპინძლობას საქართველოს დიდი მეგობარი კარლ ლინიქი გაუწევს. ისინი ამერიკაში 17 მაისამდე დარჩებიან და რამდენიმე შტატს მოივლიან.

ძვირფასო ოზურგეთელებო!

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი შანიძე გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

უფლის მადლი არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს, ჩვენს ოზურგეთს, ჩვენს ქვეყანას.

ქრისტე აღდგა—ჭეშმარიტად!

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მებრძოლ სასულიერო მოღვაწეთა შორის დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძეს გამორჩეული ადგილი უჭირავს. სამწუხაროდ, დღევანდელმა ქართველობამ ცოტა თუ იცის ნიკიტა თალაკვაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გვ-4

ინდ.მეწარმე „ავთანდილ ჯანფუტაძე“
ილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



გისურვებთ ღვთის წყალობას, სიკეთესა და ბედნიერ მომავალს!
გვეწვიეთ, ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ.№15.

გუჩიის აგრობიზნესცენტრი გილოცავთ აღდგომას უფლისა იესო ქრისტესი.
გისურვებთ ქვეყნის გამთლიანებას და სულიერ ამაღლებას!
თამარ ხომერიკი,
გურიის აგრობიზნესცენტრის გამგეობის თავმჯდომარე

ერთად გავამწვანოთ ჩვენი ქალაქი

ამ დღეებში, ოზურგეთის კომუნალური მომსახურების ცენტრის მიერ მომზადებული საინფორმაციო ბროშურის პრეზენტაცია გაიმართა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა კომუნალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლებსა და ჟურნალისტებთან ერთად ქალაქის გამწვანების სამუშაოებში მიიღო მონაწილეობა. აქციის პარალელურად მოსახლეობას ცნობარები დაურიგდა, რომელშიც სამსახურის სამიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციაა მოცემული.

–ჩემთვის დიდი პატივია, რომ დღეს გამწვანების სამუშაოებში ვიღებ მონაწილეობას. მინდა თითოეულ ოზურგეთელს მოვუწოდო, ჩაერთონ აქციაში და ერთად გავამწვანოთ ჩვენი ქალაქი–განაცხადა ალეკო მამეშვილმა.

11 აპრილს გამწვანების სამუშაოები სოფ. ჭანიეთში ჩატარდა.

გილოცავთ!



უფალი იესუ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას მივულოცავ სრულიად მართლმორწმუნე ერსა და არა მორწმუნეებსაც, რადგანაც ურწმუნოებიც მომავალში ღვთის ნებით შეიძლება მორწმუნეები გახდნენ, იმდენად დიდია აღდგომის ბრწყინვალება და მნიშვნელობა, რომ მას გარდაცვალებულებსაც კი ულოცავენ საფლავზე გასვლის ჟამს. ღვთის ნებას უსულო საგნებიც კი ექვემდებარება.

თუ უფალი ჩვენში არ დაიბადა, ის არც აღდგება მკვდრეთით. ასე მგონია, რომ გურულებისთვის მნიშვნელოვანი დღეა აღდგომა ჩვენი ხასიათისა და ინტერესის გამო.

ავთანდილ თავართქილაძე,
ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი–სურათების გალერეის დირექტორი, მხატვარ-გრაფიკოსი.

ინდ. მეწარმე „თენგიზ გორდელაძე“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

თქვენ ჩვენთან შეიძენთ მაღალი ხარისხის ავტოაქსესუარებს, ზეთებს, აკუმულიატორებს

მის: დ. აღმაშენებლის ქ. №4 (გმირთა მოედნის მიმდებარედ)

აფთიაქი „ისიდორე“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მისამართი: აპ. წულაძის ქ. №17

ინდ.მეწარმე „კახა კანდელაკი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ჩვენ კვლავ შემოგთავაზებთ სამშენებლო და სანტექნიკური მასალების ფართო არჩევანს. ვამზადებთ კარ-ფანჯრებს.

მისამართი: გურიის ქ. №4

სააქციო საზოგადოება „იმედი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასაწაულს!

შეიქმნა სადემონსტრაციო ნაკვეთი

სოფელ დვაბზუში, შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში სოფლის მეურნეობის განვითარების და დასაქმების ხელშემწყობი ცენტრის ინიციატივით, სადემონსტრაციო ნაკვეთი შეიქმნა და პირველი ნერგები დაირგო.

აქციაში მონაწილეობდნენ სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ადგილობრივი მცხოვრებლები, მოსწავლეები.

ცენტრის დირექტორის გიგა ხარაბაძის ინფორმაციით, ამ დღეს დაირგო საადრეო, საგვიანო, „დემირა“ ვაშლის, ასევე სხვადასხვა ჯიშის მსხლის, ატმის, ქლიავის, ბალის, ტყემლის, ხურმის და სხვა ხილის ასზე მეტი ნერგი.

დაირგო ანდრო ვაშალომიძის მიერ გამოყვანილი გურული ვაზის უძველესი ჯიშების „საკმელას“ და „სხილათუბანის“ ჯიშის ვაზის რამდენიმე ნერგი.

–დღეს მართლაც მნიშვნელოვანი დღეა, შეიქმნა სადემონსტრაციო ნაკვეთი, რომელშიც ვაზის გურულ ჯიშებთან ერთად უნიკალური ხილის ჯიშებიც იქნება თავმოყრილი. ეს იქნება ერთგვარი სავიზიტო ბარათი ოზურგეთისთვის და მთლიანად გურიისათვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირველი ნერგის დარგვაში მონაწილეობას იღებს ახალგაზრდები და ადგილობრივი მცხოვრებლები, რადგან მათ უნდა იცოდნენ რომ ყველაფერი რაც კეთდება, კეთდება მათთვის..

რეგიონებს შორის პირველი პრეზენდენტი–ჯუმბერ დუნდუას ვარსკვლავი ოზურგეთში

17 აპრილს ოზურგეთის თეატრის წინ გაიხსნება ხელვნების დამსახურებული მოღვაწის ქორეოგრაფ ჯუმბერ დუნდუას, მსახიობების - გაბრიელ მდინარაძის, ამირან ქადეიშვილის და რეჟისორ ვასილ ჩიგოგიძის ვარსკვლავები.

ნინო რამიშვილი, ჯუმბერ დუნდუა სტუდიის გახსნაზე ოზურგეთში. 1986 წ.

ქორეოგრაფია – ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი მარგალიტი, ერის სულისა და გულის გამომხატველია. ხელოვნების ამ დარგში სულითა და გულით ჩართული ადამიანი ერის ცხოვრების არათუ მონაწილე, მისი ამომქარგავ-ამომგვირისტებელია. ძნელია, დიდი სიყვარულის გარეშე საძნელო გზებზე სვლა, მსახურება რთული, აღმატებული საქმისა. რადგან ამ ქარგვა-გვირისტობაში დაშვებული შეცდომა, დაკარგვას ნიშნავს იმ საუნჯისა, რაც ოდითგან სათუთად გადმოცემულა და ასევე მოსათუთებელ-მოსაფერებელია. ხელოვნების ამ დარგს მსახურებს ბატონი ჯუმბერ დუნდუა, ქართულ ცეკვას ეფერება, ცეკვითვე ცოცხლობს და თამამად შიძლება ეწოდოს მას ცეკვის მამამთავარი გურიაში.

ჯუმბერ დუნდუას დამსახურებისა და რეგალიების შესახებ არაერთხელ დაწერილა გაზეთ „ალიონში“, ამჟამად ბოლოდროინდელ სიახლეებზე გესაუბრებით.

ერთ-ერთი გერმანული კომპანია ქართული ქორეოგრაფიით ყოფილა დაინტერესებული. თუმცა მისი ინტერესი რეგიონული ანსამბლები გამხდარა. რამდენიმე ანსამბლი უნახავს და მათ შორის ანსამბლი „გურია“ მოსწონებია. ხელმძღვანელი ჯუმბერ დუნდუა. პროგრამა ხუთწლიანი კომერციული ტურნეა და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გასვლით კონცერტებს გულისხმობს გერმანიის სხვადასხვა ქალაქში. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება საორგანიზაციო საკითხებზე. გერმანელი პარტნიორები ოზურგეთს რამდენიმე დღეში ეწვევიან. როგორც ბატონი ჯუმბერი ამბობს, წინა ვიზიტის დროს ისინი საქართველოში ბიზნესის წარმოებითაც დაინტერესებულან და ამ კუთხითაც აგრძელებენ მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ანსამბლ „გურიათი“ დაინტერესდნენ შოტლანდიელებიც.

–„ სტუმრები მეკითხებოდნენ, კონცერტის დროს ცეკვებს შორის რა ნომრებს ჩასვამთ, რამდენი დრო გჭირდებათ,. რომ გამოცვლა მოასწროთ? ვუთხარი – იმდენი, რამდენიც ერთი ამოსუნთქვისთვის გჭირდებათ მეთქი. მართლაც, მთელი კონცერტის მსვლელობისას, ისინი ფეხზე იდგნენ და აღფრთოვანებულნი უკრავდნენ ტაშს. ჩვენ სრული პროგრამით ვცეკვავთ.“

რთული ოპერაცია გადაიტანა ბატონმა ჯუმბერმა ამ ზამთარს, თუმცა სასაუბროდ მასთან მისულებს, ის დარბაზში დაგვხვდა.

-ბატონო ჯუმბერ, ოზურგეთში თქვენი სახელობის ვარსკვლავი იხსნება, რას გვეტყვით?

– ვარსკვლავის გახსნა ხალხის სიყვარულიდან მოდის. მე ამ სიყვარულის მჯერა. მადლობა მინდა მათ გადავუხადო. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომელთა თანადგომასაც ყოველთვის ვგრძნობ და ეს ვარსკვლავიც მათი ინიციატივით იხსნება. მინდა ასევე მივესალმო ჩემს ოზურგეთს. მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. ყველას სახლში ყოფილიყოს აღდგომა. დღეს ძალიან ბევრს უჭირს, გაძლიერებულიყოს მათთვის

ოზურგეთში კოალიცია „ქართული ოცნება“ ოფიციალურად დაფუძნდა

ნინო ნიკოლაიშვილი, მარიკა კოკოევი

10 აპრილს ოზურგეთს სტუმრობდა კოალიცია ქართული ოცნების წევრები: მანანა კობახიძე, ვიქტორ დოლიძე, დავით ბერძენიშვილი, რომლებმაც ქართული ოცნების ოზურგეთის ორგანიზაციის დაფუძნება მიულოცეს მასპინძლებს და იმ გეგმებზე ისაუბრეს, რაც მათი თქმით, არჩევნებში გამარვჯვებას და შემდგომ, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას სჭირდება. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელად კოტე შარაშენიძე წარადგინეს.

მანანა კობახიძე *(კოალიცია „ქართული ოცნების“ საინიციატივო ჯგუფის წევრი).* მოგესალმებით ჩემო ოზუგეთლებო, რომლებმაც თქვენი სამამაცით შეძელით და დღეს აქ მოხვედით. ჩვენ კოალიციურად დღეს ვაფუძნებთ ქართული ოცნების ოფისს ოზურგეთში. ეს არის ადგილი, რომელიც წარმოადგენს ახალი ხელისუფლების ჩანასახს. ოქტომბერში ქართული ოცნება ნამდვილად გაიმარჯვებს. სწორედ დღეს აქ ეყრება საფუძველი მომავალ, ეროვნულ ხელისუფლებას, რომელსაც სურს გაისტუმროს ის პარტია ხელისუფლებიდან, რომელმაც ქვეყანა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. და ჩვენ ყველას, თქვენთან ერთად შეგვწევს უნარი, ერთობლივად ოქტომბრის არჩევნებში დავამარცხოთ ნაციონალური მოძრაობა, რათა ქართული ოცნება მოვიდეს უმრავლესობით საქართველოს პარლამენტში. ბიძინა ივანიშვილი არის ამის გარანტი, ბატონმა ბიძინამ თავისი შემოსვლით, პოლიტიკაში რეალურად მოახდინა გარდატეხა. ხელისუფლებას ახლა ძალიან ეშინია. ეშინია თქვენი, ეშიანია ჩვენი, ჩვენი მომხრეების და ყველანაირ ზომას მიმართავენ იმისთვის, რომ ხელი შეუშალონ ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მის თანაგუნდელებს პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაერთონ აბსოლუტურად თანასწორად და იყოს ბრძოლა სამართლიანი. მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს, ყოველდღიურად იხსნება ჩვენი ოფისები. საქართველოს ყველა რაიონში, ყველა ოჯახამდე მივა ინფორმაცია ჩვენი მომავალი გეგმების შესახებ. ჩვენ გვინდა ერთ მუშტად შევკრათ ეს ქვეყანა. ჩვენ მოვიგებთ არჩევნებს. თქვენ იმსახურებთ ღირსეულ ცხოვრებას, სამართლიან ქვეყანას, იმას რომ თქვენს ოჯახებს არ შიოდეთ, გქონდეთ სამუშაო ადგილი, იყოთ დაცულები და არ იყოთ დამოკიდებული ხელისუფლების გადმოგდებულ დახმარებასა და შემწეობაზე, ოცლარიან ვაუჩერებზე. ბიძინა ივანიშვილი, კოალიციაში შემავალი პარტიების ერთობით და თქვენი დახმარებით, შეძლებს მოვიდეს ხელისუფლებაში. მინდა მოგილოცოთ ეს დღე. ეს დღე არის დასაწყისი ძალიან დიდი ბრძოლისა, რის შედეგსაც არჩევნებზე ვნახავთ. დიდი მადლობა, რომ აქ ხართ, მჯერა რომ კიდევ შემოუერთდებიან ქართულ ოცნებას, რომელსაც აუცილებლად უწერია ახდენა, რეალურად ქცევა და ეს მოხდება ოქტომბერში.

ვიქტორ დოლიძე *(კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი თავისუფალი დემოკრატებიდან):* განსაკუთრებით მიყვარს ეს მხარე. მეც გურული გახლავართ. დიდი პატივია ჩემთვის ოზურგეთში ყოფნა, მითუმეტეს ქართული ოცნების გახსნის მიზნით, რადგან ეს იქნება საყრდენი ქართულო ოცნების მომავალი ნაბიჯების, ამ ხელისუფლების ერთხელ და სამუდამოდ არჩევნების გზით ცვლილების და მერე უკვე მომავალ ხელისუფლებაში ყოფნის.

გურიას სამწუხაროდ ბოლო ოცი წლის მანძილზე ბევრმა ჭირ-ვარამმა გადაუარა, მაგრამ მაინც არაფერი არ ეშველა, დადგა დრო რეალურად დაიწყოს საქმის კეთება. ეს იქნება სოფლის მეურნეობის, სოციალური მოწყობის, ჯანდაცის თუ ნებისმიერი სფეროს თვალსაზრისით. ამ საკითხებთან დაკავშირებით დამოუკიდებლადაც დიდი ხანია მუშაობდენ „თავისუფალი დემოკრატები“ და რესპუბლიკელები.

მინდა მივულოცო დღევანდელი დღე ბატონ კოტეს. მან დიდი პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზე. ეს მძიმე ტვირთია იმ ძალადობის პირობებში, რეპრესიული მანქანის პირობებში, რომელიც მუშაობს საკაშვილის რეჟიმის დროს. მას კარგი საფუძველი აქვს ამისთვის მომზადებული, მინდა ბატონ თემურ სალუქვაძეს დიდი მადლობა ვუთხრა ამ საფუძვლისთვის. მათი ერთად დგომით, დარწმუნებული ვარ, რომ სერიოზული საქმე გაკეთდება აქ, მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც დღეს ხდება ქვეყანაში. ნათია მოგელაძის სამსახური იქნება, ვანო მერაბიშვილის სტრუქტურები, ახლაიების ბანდ ფორმირებები თუ სხვა, მაინც არ შეშინდება აქაური ხალხი. ის შიშის და ძალადობის სინდრომი, რაც საკაშვილმა დანერგა ნელ-ნელა ტყდება.

მალე დაიწყებს ფუნქციონირებას ტელევიზია, ხალხი მეკითხება, როდის მოვა ჩვენამდე ინფორმაცია? იმიტომ რომ „იმედი“, „რუსთავი 2“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი იქცა პროპაგანდის მანქანად, საკაშვილის, მერაბიშვილის და ადეიშვილის დამნაშავე რეჟიმის პირობებში. მაგრამ ეს პროპაგანდაც ნელ-ნელა კვდება. ძალიან სერიოზული ნაბიჯები იდგმება ამ მხრივ. არ უნდა იყოს ინფორმაციული ვაკუუმი, ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

მორჩა ის პერიოდი, როცა ინფორმაცია საზღვარს გარეთ მხოლოდ საკაშვილს გაჰქონდა და რომ ის იყო რეგიონალური მასშტაბით დემოკრატიის შუქურა. დიდი ხანია ეს მითი აღარ არსებობს. ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომ სიმართლე გაიგოს საერთაშორისო თანამეგობრობამ. სწორედ ამიტომ, უახლოეს მომავალში ჩამოვლენ არა მარტო თბილისში, რეგიონებშიც საერთაშორისო დამკვირვებლები, ყველა ძალადობის ფაქტის დაფიქსირება მოხდება.

დავით ბერძენიშვილი *(კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, რესპუბლიკელებიდან):* საქართველოში ბოლო წლებში ძალიან დიდი იყო პროტესტი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ ვერ შევძელით გამარჯვების უზრუნველყოფა. მე ვიცი სად ვარ. მე ვიყავი აჭარა-გურიის კურატორი საპრეზიდენტო არჩევნების დროს – 2008 წელს. მაშინ გურიამ რეგიონებში პირველი შედეგი აჩვენა. ყველაზე დაბალი პროცენტი ხმებისა საკაშვილმა მიიღო გურიაში. ჩვენ ვიცით, რომ შესაძლებლობა ოზურგეთში ოპოზიციური გამარჯვებისა, არის ძალიან მაღალი, მაგრამ ეს ხელისუფლება იმაზე მეტის მკადრებელია, ვიდრე მისი წინამორბედი. ამასთანავე ვიცით, რომ ქართულო ოცნება იმაზე ძლიერია, ვიდრე შევარდნაძის ოპონენტები ვიყავით. ასე რომ ორივე მხარე გაძლიერებულია. ბრძოლა იქნება საკაშვილსა და ივანიშვილს შორის, არ იქნება სხვა ვინმე მესამე.

ჩვენ არ გვინდა ვიყოთ საკაშვილის ქვეყანა. უნდა ვიყოთ ქართველი ხალხის ქვეყანა.

ის, რომ გამარჯვების შანსი არის მაღალი, არ ნიშნავს რომ გამარჯვება არის გარანტირებული, ვერავინ ვერ უზრუნველყოფს გამარჯვებას, თუ არ იქნება შეკრული და ძლიერი საარჩევნო გუნდი, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

დღეს ოზურგეთში ფუძნდება ქართული ოცნების ოფისი. მე მივესალმები ბატონ კოტეს, რომელსაც დიდი ფუნქცია დაეკისრა. მივესალმები ბატონ თემურ სალუქვაძეს, ტიფო მიქატაძეს, შოთა გოგიბერიძეს. მთელი ჩვენი რესურსი კოალიციისა ერთიანად დაიწყებენ მუშაობას.

თუ აქამდე საკაშვილს დასავლეთი ტყუილში ემოწმებოდა, ახლა ვითარება შეიცვალა. საკაშვილს არ აძლევენ შესაძლებლობას ივანიშვილის პოლიტიკური სივრციდან გარიყვის. ამის მაგალითია, რომ მალე ხელისუფლების დიდი მცდელობის მიუხედავად ივანიშვილს ექნება მოქალაქეობა. იძულებული გახდა საკაშვილი მარცხი, ფორმალურად არა, მაგრამ მაინც აღიაროს. როგორც კი მან თქვა არ ვაძლევ მოქალაქეობას ბიძინა ივანიშვილს, იმავე საღამოს და მეორე დილით მთელი დიპლომატიური კორპუსი იყო ქართულ ოცნებაში. ისინი ივანიშვილთან არ დადიან როგორც მოქალაქეებთან, ისინი ხვდებიან, როგორც ქართული ოპოზიციის ლიდერს, როგორც საქართველოს მომავალ ხელისუფალს. რა თქმა უნდა ჩამოვა ბიძინა ივანიშვილი გურიაში მან მშვენივრად იცის ყველაზე ძლიერი პოზიციები რომელ რეგიონებშია.

სოფლის მეურნეობა, განათლება ჯანდაცვა ეს არის პრიორიტეტები ივანიშვილის კოალიციის. ის მოდის კონკრეტული პროექტებით. ბევრი სამუშაო ადგილია შესაქმნელი.

არ დაგიმალავთ და სერიოზული განსჯის შედეგად არის შერჩეული ბატონი კოტე. იგი ძალიან სერიოზულ კონკურენციაშია გამარჯვებული.

კოტე შარაშენიძე: გურია და ოზურგეთი პოლიტიკური აქტიურობით გამოირჩევა. მოგვეცემა ალბათ იმის შანსი, რომ უფრო მასშტაბურად წარვდგეთ თქვეს წინაშე და გაგაცნოთ ქართული ოცნების სამოქმედო გეგმა. მაისიდან ყველაფერი უფრო აქტიურ ფაზაში შევა და ოზურგეთლები ჩავებმებით ამ ფერხულში.

ჩვენი ოფისის კარები ყველასთვის ღია იქნება, ვისაც აწუხებს თავისი რაიონის და სამშობლოს პრობლემები. გთხოვთ რომ დღეიდან ნებისმიერ დროს ნებისმიერ სიტუაციაში ოფისის მუშაობაში მიიღოთ მონაწილეობა.

ნოსიალური მიმართვების ნაკადის ზურგის რეგიონალური ნაკლოვანებათა ცენტრი გილოცავთ ოზურგეთს ოფისის ქრისტესი!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი გილოცავთ ოზურგეთის ბრწყინვალე ღონისძიებას!

ჩვენ მუდამ თქვენი პატარების სამსახურში ვართ!

ოზურგეთის შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექტივი გილოცავთ აღდგომის მრწყინვალე დღესასწაულს!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების სამინისტროს მეურნეობის განყოფილების საქმისწარმოება გილოცავთ აღდგომას უფლისა იესო ქრისტესი!

გვახსოვდეს 9 აპრილი

9 აპრილის შესახებ, ბევრი დაიწერა, შენახულია ვიდეო ფირები. ტელევიზია ყოველწლიურად გაკვრით ახსენებს ამ დღეს, მაგრამ რაც დრო გადის, ნაკლები ყურადღება ექცევა მსოფლიო მნიშვნელობის ამ მოვლენას. თანდათან მინავლდა მეხსიერება და თითქოს საზოგადოება გულგრილი ხდება ამ საოცარი გამოღვიძებისა.

დიახ! 70 წლიანი კომუნისტური რეჟიმის ზეწოლით ეროვნული თავისუფლების იდეა სალათას ძილს იყო მიცემული და საზოგადოებას ყოველგვარი იმედი გადაწურული ჰქონდა. საბედნიეროდ, არ ეძინა ჭეშმარიტ მამულიშვილებს. ისინი დროდადრო პერმანენტულად ახსენებდნენ საზოგადოებას, რომ თავისუფლება ღვთისაგან ბოძებული ბედნიერებაა და მუდამ შემართული უნდა იცავდე ეროვნულ ფასეულობებს.

70 წელს გადავშორდი. ჩემს მეხსიერებაში დაშანთულია მაშინდელი ფერისცვალება სიკეთისაკენ, თავისუფლებისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ. დღესაც წიგნის კარადაში შუშის უკან შემომყურებს ნინო თოიძის სურათი, 9 აპრილის შემდეგ ყველას გულზე რომ ეკეთა.

ყოველწლიურად ავდივართ ნინოს საფლავზე მაშინდელი ეროვნული მოძრაობის წევრები. იქ კვლავ გვხდება ნინოს დარჩენილი ჭირისუფლები. ნინოს საფლავზე მიდიან ისინიც, ვინც უაზრო მსხვერპლად მიიჩნევდა ამ შეწირულ ადამიანებს; მიდიან ეროვნული ხელისუფლების დამამხობლებიც; ყველა დროის მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენლები. აღესრულება პანაშვიდები ეკლესიაში. თითქოს ზვარაკად შეწირული ახალგაზრდები გვაერთიანებს ყველას და გვახსენებს, რომ სამშობლოს, თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ეროვნულ თვითშეგნებას თვით ღმერთი მფარველობს და მისი დავიწყება არ შეიძლება.

1989 წლის 9 აპრილს, სამშობლოსათვის დამოუკიდებლობის ბრძოლას შეეწირნენ: **ადამია აზა, ბაშალეიშვილი ნათია, ბეჟანიშვილი ეკა, გიორგაძე ნატო, დოლიძე თამუნა, ენუქიძე თინა, თოიძე ნინო, კიკვაძე ზაირა, დოლიძე მანანა, მამულაიშვილი-სვანიძე თამარი, მელქაძე მანანა, ნოზაძე მამუკა, ქარსელაძე გია, სამარგულიანი ნანა, ქვასროლიაშვილი შალვა, ჯანგირაშვილი ნოდარი, ჯინჭარაძე მზია,**

ჭიპაშვილი ელისო, ჭოველიძე თამრიკო, ჭყონია-სამარგულიანი მარინე.

9 აპრილის აქცია ბარბაროსულად იქნა დარბეული. ამით უნდოდათ ჭკუა ესწავლებინათ საქართველოსთვის, რომ დამოუკიდებლობაზე ფიქრი ზედმეტი იყო. ამის შემდეგ დააპატიმრეს მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ეროვნული მოძრაობის სხვა წევრები. ამას საზოგადოების მწვავე რეაქცია მოჰყვა. საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დაიწყო საპროტესტო შიმშილობის აქციები. მთელი მსოფლიო გმობდა კრემლის პოლიტიკას. მთავრობა იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა პოლიტპატიმრები. დაიწყო ეროვნული მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის.

ჩეხეთის ეროვნული მოძრაობის ლიდერი **ვაცლავ ჰაველი** უდიდეს შეფასებას აძლევდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს:

„ 9 აპრილის მოვლენებმა საქართველოსი დააჩქარა არა მარტო იმპერიის დაშლა, არამედ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლებას. კრემლს გადაწყვეტილი ჰქონდა ძალის გამოყენება ანალოგიურ შემთხვევაში, მაგრამ დაინახა რა მსოფლიო საზოგადოების მწვავე რეაქცია, ჩაფიქრებულ ღონისძიებაზე ხელი აიღო“.

ამ მოვლენებმა დააჩქარა იმპერიის დაშლა. საქართველოსი დაიწყო არჩევნებისათვის მზადება. 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებულ არჩევნებში დემოკრატიულმა ძალებმა გაიმარჯვეს. ძალიან დამამახსოვრდა არჩევნების შემდეგ ზვიად გამსახურდიას გამოსვლის ბოლო სტროფები. მან მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან“ მოიყვანა: „დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაპერწკალი...“, „დიდ იმპერიას მოერევის მცირე ნაპერწკალი — საქართველო!“

1990 წლის 14 ნოემბერს ჩატარდა პირველი სესია, რომელზედაც ერთხმად იქნა არჩეული უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდია.

1991 წლის 9 აპრილს მიღებული იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ვფარავდეს ღმერთი!!!“—ზვიად გამსახურდიას ამ სიტყვებმა დიდი ოვაციები გამოიწვია. ზეიმობდა მთელი ერი. ხალხი ტიროდა სიხარულისგან და მეც ვტიროდი...

უფალმა ჩვენი მაშინდელი ურთიერთ სიყვარულისთვის, ერთიანობისათვის გვიკურთხა დამოუკიდებლობა, მაგრამ ძალაუფლებისათვის მავანთა ბრძოლამ, ამბიციებმა, კრემლის პოლიტიკამ და „მეხუთე კოლონის“ შექმნამ შეიწირა ეროვნული მოძრაობა და მათი ლიდერები.

ადრეც ვწერდი და ახლაც ვიმეორებ, 9 აპრილი არის საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ჩვენ უნდა ვიზეიმოთ 26 მაისი, მაგრამ 9 აპრილის მიჩქმალვა და გლოვის დღედ გამოცხადება არასწორია. ვიტოვებ იმედს, „დრონი მეფობენ და არა მეფენი“ და ეს თარიღი შესაბამისი პატივით აღინიშნება.

ზვიადი ამბობდა: „ მე არ შემეძლო მშვიდად მეცქირა იმისათვის, რასაც საბჭოთა ხელისუფლება უკეთებდა ჩემს სამშობლოს, ჩემს მოძმეებს. ჩემი ქრისტიანული მოვალეობა იყო დამეცვა რელიგია, კულტურა, სამშობლო... ამიტომ მოვკიდე ხელი პოლიტიკას და ამან მიმყვანა პრეზიდენტის პოსტამდე.“

აი, ჭეშმარიტი ეროვნული პრეზიდენტი!

სამწუხაროდ, მისი ლიკვიდაციის შემდეგ ეროვნული მოძრაობა ჩაკვდა. არავის აინტერესებს ეროვნული ინტერესები. იყიდება საქართველო, მიწები, წყლები, ტყეები; სხვადასხვა კონფესიები გაუთანაბრეს ჩვენს სისხლხორცეულ მართლმადიდებლურ რელიგიას. ცოტაც და წარიხოცება ყოველგვარი ეროვნული. ილუპება ტრადიციები, ყველაფერს ანგრევენ. საბავშვო ბაღიდან იწყებენ ჩვენი მომავლის გადაგვარებას; დანგრეულია განათლების სისტემა, ჯანდაცვა და თითქმის ყველა სფერო, სოფლის მეურნეობა გაპარტახებულია...

გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლშევიკებს შეშურდებოდათ ასეთი დახვეწილი გადაგვარების გაკვეთილები. „მამული, ენა, სარწმუნოება,“—ბრძანებდა დიდი ილია. სამივე პოსტულატზე მიდის გაშმაგებული შეტევა.

გეკითხებით: რისთვის ვიბრძოდით, რისთვის გვინდოდა დამოუკიდებლობა? ნუთუ ბარაბას გზით უნდა ვიაროთ? როგორც ბრძანა ბატონმა ზვიადმა: „აირჩიეთ ქრისტეს გზა, აირჩიეთ წინაპრების გზა, აირჩიეთ ილია მართალის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს! გაუმარჯოს ილია მართალის გზას, მერაბ კოსტავას გზას! კურთხეულ იქნას საქართველო, რომელიც წავა ამ გზით და ვინც წავა წარწყმენდის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებული იყოს უკუნისამდე...“

„გაიღვიძე ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას, ამინ!“

ვახტანგ მამეშვილი.

გილოცავთ!

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავთ სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ მრევლს! უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეული თქვენგანის ოჯახს, თითოეულ ბავშვს.

ბავშვთა სამკურნალო ცენტრის კოლექტივი

აფთიაქი „კასაბლანკა“ გილოცავთ აღდგომას უფლისა იესო ქრისტესი!

მისამართი: ქ. ოზურგეთი, , დოლიძის ქ. №9

შპს „კარგო“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური გილოცავთ აღდგომას უფლისა იესო ქრისტესი!

ვულოცავთ!

27 მარტს, ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს ლუბა კილურაძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

იგი 52 წელი ერთგულად ემსახურებოდა თავის პროფესიას. თავდაპირველად, ომის მძიმე წლებში ბავშვთა სახლში მუშაობდა. შემდგომში ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და მუშაობდა ჭანიეთის სკოლაში, ანასეულისა და მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში. 1965 წლიდან ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლაში არაერთი თაობის აღმზრდელი და დამრიგებელი იყო.

დედის პროფესია აირჩიეს ქალიშვილებმა. დარეჯანი წმ. ნინოს სახელობის სასწავლებლის დაწყებითი განათლების პედაგოგია, ხოლო—თამარი ქ. თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ასწავლის ქიმია-ბიოლოგიას.

ქალბატონი ლუბას სიხარულია ოთხი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი.

ვულოცავთ ამაგდარ პედაგოგს 85 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ალზრდილები, მეგობრები.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ყველა ოზურგეთელს, გულოცავთ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას. გისურვებთ სულიერ ამაღლებას, ქვეყნის გამთლიანებას. უფლის მადლი შეეწიოს თითოეულ თქვენგანს, თქვენს ოჯახებს!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. კომუნალური მომსახურების ცენტრი (რ)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტის განვითარების საინფორმაციო-ანალიტიკური და მეთოდური ცენტრი (რ)

სააქციო საზოგადოება „ენერგო-პრო ჯორჯიას" ოზურგეთის მომსახურების ცენტრი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

გია ნაკაიძე,
ოზურგეთის მომსახურების ცენტრის მენეჯერი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

გილოცავთ აღდგომას უფლისა იესო ქრისტესი!
გისურვებთ ბედნიერებას, სიკეთეს, უფლის წყალობას!

ლია ქათამაძე,
სამსახურის უფროსი

აფთიაქი „სალბი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

დაბალი ფასები, მედიკამენტების ფართო არჩევანი!
მისამართი: ქ. ოზურგეთი, აპ. წულაძის № 13 (რ)

ვაჟა სადრაძე: „ოზურგეთის ჭეშმარიტი ისტორია ვაშნარის გათხრების შემდეგ დაიწერება.“

ნუგზარ ასათიანი

ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ოზურგეთის ისტორიული მუზეუმისა და მშენებარე იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც აწარმოებდნენ გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვაჟა სადრაძე;** ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები **მერაბ ძნელაძე, ელგუჯა ლლიღვაშვილი**, მხატვარ-არქიტექტორი **ლევან ლაცაბიძე, მედეა ღლონტი.**

ვაჟა სადრაძე:– „ჩვენის ვარაუდით, ეს გურიელის ყოფილი სასახლის გვერდით აბანოს ნაგებობაა, რომელიც თავისი კონსტრუქციული აგებულებით, ძალიან საინტერესოა. აქ ყველა ფუნქცია, გვიან რომაული და ადრე ბიზანტიური ხანიდან ჩანს, აქაც ტრადიციულად კონსტრუქციაში ვლინდება. კარის შემოსასვლელი, შემოსასვლელის გვერდები, მცირე სათავსოებითაა წარმოდგენილი, რომელშიც ცივი წყლის ავზები უნდა ყოფილიყო განთავსებული. არის მეორე სათავსო, ამფილადური სისტემით წარმოდგენილი, რომელსაც ჰქონდა ჰიდრავლიკური მასა, მასზე არის ქვის ფილები, რომლებიც შემოქმედის სამტეხლოდან უნდა მომდინარეობდეს. ასევე, არის ცხელი წყლის სათავსო, რომელიც ძლიერ არის დაზიანებული. ამის შემდეგ უნდა ყოფილიყო ცეცხლსაფარეშო, რომელიც ამ ორ ნაგებობას აცხელებდა. გათხრებით ორი სართული გამოვლინდა. ქვედა სართული მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული, ზედა კი–ფუნდამენტის დონეზეა დანგრეული. ნაგებობა გასული საუკუნის 50-იან წლებშია დაზიანებული. 1957 წელს ისტორიკოსმა ნინო ხოშტარიამ და სხვებმა მცირე გათხრები ჩაატარეს. (ამის შესახებ დაბეჭდილია სტატია გაზეთ „ლენინის დროშაში“ სათაურით: „ძველი აბანოების ნაშთები ქ. მახარაძეში“, №139, 1957 წ.))

რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი აქ: –აღმოჩნდა აბანო. აბანოს გააჩნია თავისი ფუნქციები. ეს რომ ერთი ყოფილიყო, დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა, მაგრამ თუ გადავხედავთ ციხისძირის, შუხუთის, მოედნის აბანოებს, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის III-V საუკუნეებით თარიღდებიან, ამიტომაც, ტრადიციულად, აქ წყვეტილი არ უნდა იყოს. ვაშნარშიც სწორედ ასეთი აგურებია წარმოდგენილი და IV-VIII საუკუნის შუა ხანებით თარიღდება. აბანოების მშენებლობის ტრადიცია აქ უწყვეტია. რაც მთავარია, ამ ქალაქს, ოზურგეთს, ცენტრალურ მოედანზე წარმოდგენილი ექნება ერთი ძველი ძეგლი, თუნდაც გურიელების დროინდელი, რომელიც გადაიხურება და ღია მუზეუმის სახით შეუნარჩუნდება ჩვენს მომავალ თაობას.

სასურველია, თუ საშუალება იქნება არქეოლოგიური გათხრები გაგრძელდეს.

როდის გახდა გურიელის რეზინდენცია ოზურგეთი? ჩვენ არ ვიცით ვაშნარის მიმართება ერისთავთა რეზიდენციასთან მიმართებაში. ოზურგეთის ჭეშმარიტი ისტორია ვაშნარის გათხრების შემდეგ დაიწერება.

ვაშნარისნაირი ისტორიული ძეგლი ევროპის რომელიმე ქვეყანს რომ ჰქონოდა, დიდი ხნის შესწავლილი იქნებოდა და უდიდესი ტურისტული ობიექტი გახდებოდა.“

საპროექტო ფირმა „ამბაზი 3“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! (რ)

შპს აფთიაქი „პმ“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მისამართი: გურიის ქ. №12. (რ)

საქპრესის ჯიხური გაქურდეს

11 აპრილს, დილით, საქპრესის თანამშრომლებს გიორგი ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე №3 ჯიხური გაქურდული დახვდათ. ბოროტმოქმედებს გაეტეხათ ჯიხური სარკმელი და ლატარიის ბილეთები მოეპარათ და თან წიგნებიც გაეყოლებინათ.

პოლიციამ დაიწყო საქმის მოკვლევა. უნდა აღინიშნოს, რომ იმავე ღამით სს „იმედის“წინ ბანკომატის გატეხვის მცდელობასაც ჰქონდა ადგილი.

საქპრესის თანამშომლების თქმით, მათზე მიყენებული ზარალი 700 ლარს აჭარბებს.

მზის ბილიკებს თან აჰყვა და იმქვეყნად ჩაესახლა ლამაზი ფერია

–,,მე, მაკა ბასილია დავიბადე 1978 წელს ტყიბულში. ჩემი ბავშვობა გავატარე ძალიან ძვირფასად, ტკბილი მოგონებები დამრჩა ჩემს გულში ტყიბულზე. ძვირფასი და ლამაზი იყო ცხოვრება, ჩემი ბავშვობა და სკოლის პერიოდი. ჩემს ბებიკოსთან და ბაბუასთან მუდამ ტკბილად ვატარებდი დროს მე და ჩემი პატარა დაიკო ეკა. მყავდა ძალიან ბევრი მეგობარი და სკოლის ამხანაგი. ვმხიარულობდით, სიცოცხლით აღსავსენი ვიყავით, გვიხაროდა, გვიყვარდა ერთმანეთი. ვჟრიამულობდით და ვცელქობდით, ვიზრდებოდით და ვხარობდით და მიფრინავდა დრო... " ასე იწყება ,,ჩემი ბოლო ჩანაწერი", რომელიც მაკა ბასილიას ჩაუწერია თავის წიგნაკში. იგი თავდაპირველად ჩვეულებრივი, კარგად გამოყვანილი ასოებითაა შესრულებული, მერე, თანდათან ჩქარდება ხელი, ასოები ერთმანეთს სცილდებიან. ამ დაცილებაში რამდენი სათქმელია ჩატეული, უკურნებელი სენით ტანჯვა, სიცოცხლესთან გამოთხოვება და ახლობლებთან დაცილების ტკივილის გამომხატველი. მაკა ეთხოვება მისთვის უსაყვარლეს ადამიანებს. ,,სანთლები იწვიან, ნელა დნებიან, თქვენი მაკუნაც ნელ-ნელა დნება, ოხ, რა ძნელია იმაზე ფიქრი, რომ ხვდები, მალე დღენი გელევა..." 2005 წლის 5 ივლისის შემდეგ ჩანაწერი ქრება. ისევე, როგორც ამქვეყნიური სიცოცხლე გაქრა ახალგაზრდა გოგონასი. მხოლოდ ოცდაშვიდჯერ გაუღიმა მაკუნას გაზაფხულმა. ოცნებობდა ღიმილით შეგებებოდა ციდან მზის ბილიკით დაშვებულ სიყვარულს, დალოდებოდა თეთრ კაბასა და ცისფერ მანდილში გამოწყობილი. მაგრამ გაიყინა დრო, წამმა მარადიულობას გაუხსნა კარი. თეთრ კაბაში გამოწყობილი, სითეთრის მდუმარებას შეერწყა, მზის ბილიკებს თან აჰყვა და იმქვეყნად ჩაესახლა ლამაზი ფერია. ახლობლებს მისი ჩანაწერები, ლექსები და ჩანახატები დაუტოვა.

•••

ახლა შუაღამეს კენწლავს კენტი მთვარე,
ალვებს გაუმართავთ გლოვის რიტუალი...
როგორ გამელტოლვე, როგორ გამეყარე,
ასე საოუთრი და ასე იდუმალი.
ტოტებდამსხვრეული ვდგავარ მაგნოლია,
აუვსებელია სევდის საწყაული,
ნისლებს გაჰყოლია, სიზმრებს გაჰყოლია
ჩემი ოცნება და ჩემი სასწაული.
გაცოდვილებული კივის მარტოობა.
რა ნაღვლიანია ახლა ყველაფერი,
სულის სათნოობა, გულის სანდოობა
გადაფანტულია ქარით შენაბერით.
ჟამი დათარსულა, ვნება გაქრა სრულად
შენ რომ ცეცხლოვანი წვიმით მაკვნესებდი.
ფრენით დაქანცულა, ფრთებით გაძარცვულა
ჩემი სტრიქონები სევდით ნაკვნესები.
მზერა მოიმედე, ზეცას შელეწია
ღაწვებს შემსხვრევია ცრემლი გაყინული,
ღმერთო შემეწიე, ღმერთო შემეწიე,
გესავბედისაგან ულვთოდ განწირული.
ხელი აღმიპყრია ღმერთთან სავედრებლად,
სანთლად ილვენთება მთვარე ღამეული,
დარდი განელდება, გრძნობა გახელდება
დილაც გათემდება ცვარნამდალეული.

•••

არ ვიცი რა ძალა მეწევა შენსკენ. მხოლოდ შენ ხარ ჩემი ფიქრის საგანი. შენ ხარ ის ერთადერთი და გამოუცნობი, რომელსაც მთელი სიცოცხლე ვეძებდი. მხოლოდ შენ მეჩვენები, მშვენიერი და საოცარი. მხოლოდ შენში ვხედავ იმ სუფთა სულს, რომლისკენაც მუდამ მივილტვოდი და მივისწრაფოდი.

მე ვიცი, რომ მხოლოდ შენშია ის ბედნიერება, სიკეთე, სიხარული და ჭეშმარიტი სიყვარული, რომელსაც დავეძებდი. შენ, მხოლოდ შენ მესახები ჩემს მხსნელად, ჩემთვის შექმნილად.

იმდენად ძლიერ ვგრძნობ შენს სიახლოვეს, რომ ხშირად მიკვირს, აქ, ჩემს გვერდით რომ არ ხარ და მეჩურჩულები საამო, თბილ, ხავერდოვან, ჰაეროვან, სასიამოვნო ხმაზე. არ ვიცი, რას მიმზადებს ღმერთი. მე ვიცი, შენ მზის ბილიკს ჩამოჰყვები ციდან და ჩემთან მოხვალ. მე აქ დაგიხვდები, გამოწყობილი თეთრ კაბასა და ცისფერ მანდილში. სიზმარში გხედავ. იქ მუდამ გიყვარვარ გიჟური სიყვარულით. ყოველთვის ვნატრობ, ამ სიზმარში ჩავრჩე და არასდროს გამომეღვიძოს.

როდესაც რაიმე მაქვს გადასაწყვეტი, შენ გიხმობ, შენ გესაუბრები, რჩევას გთხოვ. როდესაც ძლიერ მიჭირს, შენს სულს მოვუხმობ და ისიც ჩემთან ჩნდება. შენ მამშვიდებ და იმედით მავსებ. უშენოდ მე რაღაც ნაწილი მაკლია. რომ გავხდე მთელი, შენ ხარ ჩემი განუყოფელი და უცვლელი ნაწილი, რომელიც ჩემთვის გაგხადა ღმერთმა.

ჰოდა, მოდი ჩემთან, შემავსე, შემითავსე, შემიკედლე, შემიფარე და შემიყვარე.

•••

თვალები ღრმა არის, იდუმალებით და ნატვრით სავსე.
თვალები რა არის, თუ შენს ოცნებას არავინ ავსებს,
თვალები ჩუმია, საკუთარ განცდების გაყიდვა იცის,
თვალები ხვდებიან, რომ სადღაც ქუჩაში ვიღაცა გიცდის.
თვალები შავია, თუ რომელი ფერისაც გინდა.
გრძნობა ერთია, ერთი, სპეტაკი და წმინდა.
თვალებით მიყვარხარ, მე ანგელოზებში თვალებით გარჩევ.
თვალები რა არის, თუ შენ ოცნებას არავის უვსებ.
დღეს ამ ქუჩაზე სადღაც გაზაფხულს მიჰყვება ფიქრი.
ჩემი ოცნება სადღაც გაზაფხულის ნიავთან მიჰრის.
თვალები ჩუმი გაქვს, მაგრამ შენს განცდებს ყიდიან იცი.
შენი თვალები ხვდებიან, რომ სადღაც, ქუჩაში მე წყნარად გიცდი.

აკაცია

ქუჩაში სამნი ვიდექით, მე, შენ და აკაცია. მე აკაციის ტოტი მოვწყვიტე და ფოთლებს ვითვლიდი, ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ და... ხელში ერთი ფოთოლი შემრჩა. შენ ხელიდან გამომტაცე ტოტი და მითხარი — ნუ ენდობი აკაციის ფოთლებს. მას შემდეგ განვლო დრომ. საშინლად წვიმდა. იმ ძველ ადგილას ისევ სამნი ვიდექით, შენ, ჩემს მაგივრად ვიღაც სხვა, და აკაცია. იმ სხვამ აკაციის ტოტი მოწყვიტა და ფოთლებს თვლა დაუწყო. მე მინდოდა მოვსულიყავი და მეთქვა — ნუ ენდობი აკაციის ფოთლებს, მაგრამ რატომღაც გადავიფიქრე.

ოზურგეთის დასუფთავების სამსახური გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

დ

შპს „ეზამშენი-18"
გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

დ

შპს „ქასაძის ეყრი" გილოცავთ
აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მის: ქ. ოზურგეთი, გ. ეპისკოპოსის ქ. №1

ავტომანქანების და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების მაღაზია გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

რ

მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №3

ტოტალიზატორი „ევროპა-ბეთ"-ი და პოკერ-კლუბი
გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მის: ქ. ოზურგეთი, აპ. წულაძის ქ. №11

რ

მეორე ტყვია

ვუძღვნი 9 აპრილის ტრაგედიას

თავს ველარ ვუჭერთ
გრძნობასა,
დუღს როგორც ქვევრში
მაჭარი,
სისხლი აბრუნებს ბორბალსა,
სულს მოსდებია ხანძარი.
მერანიც დაჰქრის ფრთოსანი,
ევლება ცას და მიწასა;
ქარიშხალს აჰყავს მგოსანი,
გზას უკვლევს როგორც
წმიდანსა.
მტკვარმა აზვირთა ტალღები,
შოლტი გადაჰკრა რიონსა,
თბილისმაც შეჰკრა წარბები,
ლოცვად მოუხმო სიონსა.
კრწანისის ველი ცახცახებს,
მასაც ამბავი მისვლია,
კორდები წითლად ღაღანებს,
ეს ხომ წინაპართ სისხლია.
კავკასიონის მწვერვალებს:
იალბუზსა და მყინვარსა
დავითი მხრებზე შეუსვამთ,
შეუდგნენ ლოცვა-წირვასა.
ჯაჭვი გადუღრღნავს
კბილებით,
ამირანს კლდესმიჯაჭვულსა,
ჩამოდის ღმერთის წყალობით
პასუხი სთხოვოს მომხდურსა.
გათეთრებულმა მდუმარემ
საბას—ქართულმა ნამუსმა,
ცხელი ცრემლებით მდუღარემ
ნუგეში უთხრა მამულსა.
ილია მყისვე დაასკვნის,
მტერმა კვლავ ცუდი გვიყოო,
ჩემზედ ნასროლი ბერდანგის,
მეორე ტყვია იყოო.

1989 წ.

ხსოვნა

ელგუჯა შევარდნაძე

გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი ელგუჯა შალვას ძე შევარდნაძე.

იგი 1929 წლის 11 ივნისს დაიბადა სოფ. ბახვში. შემდეგ მამისეულ სოფ. ასკანაში ცხოვრობდა. მამა შალვა შევარდნაძე ფოთის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. იგი საოცრად განათლებული და ნიჭიერი კაცი ყოფილა, რომელსაც უდიდესი წვლილი შეუტანია ბატონ ელგუჯას მომავალ ცხოვრებაში. მამის მეშვეობით მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მხატვრებთან.

ბატონმა ელგუჯამ 1959 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. რადგან გერმანული კარგად სცოდნია, მამამ სკოლაში გერმანულის საათები დაუთმო, პარალელურად მოსკოვში დაუსწრებლად დაამთავრა გერმანული ენის შემსწავლელი სამწლიანი კურსები. თანამშრომლობდა გაზეთ „ლენინის დროშის“ რედაქციათან. მალე რედაქციაში მიიღეს მუდმივ შტატზე და რამდენიმე ხნის შემდეგ პასუხისმგებელ მდივნად დანიშნეს.

ამავე პერიოდში დაქორწინდა ექიმ ლია ძნელაძეზე და საცხოვრებლად ქ. ოზურგეთში გადმოვიდნენ.

ბატონი ელგუჯა ცნობილი ჟურნალისტი გახდა. მისი ჟურნალისტური ნამუშევრების უმრავლესობა ქ. ოზურგეთისა და მთლიანად რეგიონის კულტურულ ცხოვრებას ასახავდა. წერდა თეატრზე, მხატვრობაზე, ჩვენს ცნობილ თანამოქალაქეებზე.

70-იანი წლების ბოლოს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში მისი ძალისხმევით ელენე ახვლედიანის საღამო მოეწყო, რაც უდიდესი სულიერი ღირებულების შეხვედრა იყო იმჟამინდელი ოზურგეთის სინამდვილეში. მისივე პირადი ნაცნობობით დადამსახურებით 1983 წელს ოზურგეთის სახელმწიფო მუზეუმს ლადო გუდიაშვილის ცნობილი ტილო „ბარათაშვილის პორტრეტი“ და რვა გრაფიკული ნამუშევარი გადაეცა, რომლებიც დღეს ოზურგეთის სამხატვრო ფონდს ამშვენებს.

ელგუჯა შევარდნაძის წერილებით გაიცნო ჩვენმა საზოგადოების დიდმა ნაწილმა 1937 წელს რეპრესირებული ცნობილი მხატვარი დიმიტრი (დიტო) შევარდნაძე.

ცალკე თემაა მისი ღვაწლი ახალგაზრდა ჟურნალისტების დაოსტატების საქმეში.

დამსახურებული შრომისათვის ბატონ ელგუჯას ღირსების ორდენი გადაეცა. იგი სიცოცხლის ბოლომდე თანამშრომლობდა გაზეთ „ალიონთან.“

საუკეთესო ოჯახის მამა იყო. შვილები თამარი და ნინო ჩვენი საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები არიან. ასევე ბაბუას სახელს პატივს მიაგებენ ოთხი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინ მიიცვალა იგი. მარადიული ხსოვნა მის ახელს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია.

,,ალგუჯა შევარდნაძე

ისევ უშენოდ მოვიდა გაზაფხული, ისევ უშენოდ ყვავილობს ყვავილები. უშენობის შვიდი წელი გავიდა უდიდესი ტკივილით, ცრემლით და მონატრებით. ჩემო ტკბილო მონატრებულო შვილო. ყოველ შენს ნივთს ვეფერებით, რომელიც შენს ოთახში აწყვია. შენს ჩანაწერებს ვკითხულობთ, შენს სიტყვებს ვეფერებით. ცრემლები გვახჩობს როგორ ვერ დაგიფარეთ, ვერ გადაგარჩინეთ.

გვაჯობა წყეულმა სენმა, შენი თავი წაგვართვა და მოისვენა, ჩვენო მაკა-მაია, ჩვენო სიხარულო და დიდო ტკივილო. უსაშველოდ გვენატრები.

მდუმარეა შენი საფლავი. შენ კი ასეთი არ იყავი ჩემო პატარა შვილო, ჩემო მაკუნა. შენ ხომ აფეთქებულ ატმის ყვავილს ჰგავდი. მეოცნებე დიდი გული გქონდა სიცოცხლის წყურვილით და სიყვარულით აღსავსე. გიყვარდა და ოცნებობდი შენი პატარა დაიკოს გვერდით გაგეხარა, შენი დისშვილის აღზრდაზე და შეჰხაროდი შენს პატარა დათუნას, შენს პატარა დიშვილს. დედიკო, დათუნა გაიზარდა, სანთლებს გინთებს, შენს საფლავთან ყვავილები მოაქვს და ალამაზებს. ალბათ გრძნობს შვილო, როგორ გვაკლიხარ, როგორ დაგვჯაბნა სიკვდილმა.

დაგეძებ დაცარიელებულ სახლში და ვერ გპოულობ ჩემო ლამაზო და უდროოდ გამქრალო ყვავილო. ღმერთს ვევედრები მარადიულში მშვიდად გამყოფოს. სანთლებს ვანთებთ და გვჯერა, შენი სული, შენი ლამაზი სული სამოთხიდან გვეხმიანება. დრო გავა, ოღონდ უშენოდ... ჩემო ლამაზო ფერია. მძიმე ჯვარი გვარგუნა საზიდად განგებამ, უდიდესი ტკივილით ვეზიდებით ამ ჯვარს. შენი თხოვნაც ხომ ეგ იყო, შენი უკანასკნელი ვედრებაც. ოცნებავ, ჩემო სიცოცხლევ. მენატრები შვილო, ღმერთს ვევედრები, შენი თავი სიზმრად მაინც მომივლინოს, გულში ჩაგიკრა და აღარ გათენდეს ის ღამე შენი დედისთვის.

შენი მშობლები, და და სიძე.

ისევ გაზაფხული, ისევ ტკივილი და მონატრება შენმა სიკვდილმა მაკუნას სიკვდილი გამიახლა ჩვენო გელა. ორივე ძლიერი ტკივილი ხართ ჩემთვის ჩემო პატარებო. გული მომწყვიტეთ და თან წაიყოლეთ. ალბათ ერთად შეხვდებით აღდგომას, ერთად იზეიმებთ. აბა შენ იცი ჩემო ბიჭო, როგორ მიხედავ შენს ბიძაშვილს, შენს მაკუნას. ერთად განისვენებთ ჩემო პატარა შვილებო. ღმერთს ვთხოვ ნათელი არ მოგაკლოთ იმქვეყნიურ სასუფეველში. ოცდარვა წლის წახვედი უდროოდ. შენ ხომ სიცოცხლით აღსავსე იყავი, მაგრამ მანქანამ შეგიწირა.

ახლა ერთად იჟღურტულებთ ჩიტებივით, მაგრამ ჩვენგან ხომ შორს ხართ და ძალიან გვენატრებით. თქვენზე ვლოცულობთ. აბა თქვენ იცით, როგორ მიხედავთ ერთმანეთს, თქვენ ხომ ერთმანეთის ყოველთვის გესმოდათ. ალბათ ზეციდან გადნმოგვყურებთ და უყურებთ, როგორ იტანჯებიან თქვენი საცოდავი მშობლები. თქვენი ცხოვრება ერთ ამოსუნთქვას დაემსგავსა. თქვენმა სულმა ზეციური სამყაროსკენ სრბოლა არჩია.

დრო გავა, მაგრამ თქვენს ნათელ ხსოვნას ვერას დააკლებს. იძინეთ ტკბილად ჩემო პატარა მულიშვილო და ჩემო შვილო მაკუნა.

გულის ტკივილით მოგიხსენებთ შენი ბიძაშვილი მკა და გია, ბიცოლა და ბიძია.

,,ალიონი“ ,,ალიონი“

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ოზურგეთის ქუჩებში აღარ დადის ალალ-მართალი და პატიოსანი კაცი პავლე ლომთათიძე.

ვინც მას იცნობდა, ახლობლობდა, მოხიბლული იყო მისი შრომისმოყვარეობით, ტრადიციული ოჯახის პატივისცემით, განათლებული და სტუმართმოყვარე მეუღლით, კარგი შვილებითა და შვილიშვილებით, მასპინძლობით, გაჭირვების ჟამს მოყვასისადმი თანადგომით.

უყვარდა ქართული ფოლკლორი. თავადაც კარგი მომღერალი იყო. ხატავდა და დღეს მის მოგონებას მისი ფერწერული ნამუშევრები აცოცხლებს.

და იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი. მისი ოჯახი ერთ-ერთი ძველია ოზურგეთში. იგი სიცოცხლის ბოლომდე იმ ოჯახში ცხოვრობდა, სადაც XX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდნენ მისი წინაპრები.

დასანანია, რომ აღარ არის ჩვენს გვერდით, მაგრამ დარჩა კაცური კაცის სახელი, რომელსაც მუდმივად გაიხსენებენ.

მეგობრები, ახლობლები.

,,ოზურგეთელი ფრენბურთელები უმაღლეს ლიგაში

ერთი წლის წინ ოზურგეთის წმ. ნინოს სასწავლებლის ფრენბურთელთა გუნდი შეიქმნა, რომელსაც სათავეში ამ დარგის სპეციალისტი სპორტის ოსტატი სერგო რობაქიძე ჩაუდგა. სერგო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი იყო კლასიკურ და საპლაჟო ფრენბურთში. ოზურგეთში ჩამოსვლამდე სანკ-პეტერბურგში თამაშობდა.

შემოქმედელი ეპისკოპოსის, მეუფე იოსების თანადგომით სერგომ მალე მიაღწია შედეგს.

სასწავლებლის გუნდი ჯერ გურიის ჩემპიონი გახდა, შემდეგ კი გაკეთდა ნაკრები, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატის I ლიგაში, წარმატებით იასპარეზა თბილისის, რუსთავის, ახალგორის, თეთრი წყაროს, მცხეთის გუნდებს შორის (4 მოგება, ერთი წაგება) და ჩემპიონი გახდა. გუნდი უმაღლეს ლიგაში გადავიდა. აქ მისი მეტოქეები თბილისის, სასოფლო უნივერსიტეტის, თსუ, ბათუმის, ცაგერის, ყვარელის გუნდები გამოდიან.

სერგო რობაქიძე თანადგომისთვის დიდ მადლობას უხდის მეუფე იოსებს და გურიის გუბერნატორის დაპირება, თანადგომის შესახებ, ეიმედება.

,,ოზურგეთის ღია პირველობაზე ტაეკვანდოში

ჩატარდა ოზურგეთის სპორტსკოლის ღია პირველობა ტაეკვანდოში. წონის მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: აჩიკო სურმანიძე, ალექსანდრე ტყაბლაძე, ედუარდ საპონჯიანი, ნანი დოლიძე, თემურ ღლონტი, იური ტყაბლაძე, შუქრი ჩხარტიშვილი. აბსოლუტურ წონაში ჩემპიონი გოჩა ქვილორია გახდა. (მწვრთნელი ირაკლი ტუღუში).

გუნდი ამჟამად რესპუბლიკური პირველობისთვის ემზადება.

საქართველოს პირველობაზე

ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1995-97 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს რეგიონების 300-მდე მოჭიდავე.

ოზურგეთლებიდან წარმატებებს მიაღწიეს: თემურ კვაჭაძემ (52კგ. წონითი კატეგორია, I ადგილი);

50 და 63 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილებზე გავიდნენ ასევე ლიხაურლები ლევან ქავჯარაძე, გიორგი ჯაფარიძე (მწვრ. ალ. ბოლქვაძე).

II ადგილზე გამოვიდნენ ასევე 54 და 76 კგ. წონით კატეგორიაში გიორგი გუჯაბიძე (მწვრ. ზურაბ ზურაბიანი) და გიორგი დარჩია (გურამ მაჭარაშვილი).

46, 54, 76 კგ. წონით კატეგორიებში III ადგილზე გავიდნენ იური ლომაძე, გიორგი ხუჭუა, ვასილ თავბერიძე (მწვრ. ძმები ზურაბიანები).

პირველობაზე ასევე წარმატებით გამოვიდა ოზურგეთის სასპორტო სკოლის კიდევ ერთი აღზრდილი გიორგი ჩხარტიშვილი (მწვრ. გურამ მაჭარაშვილი), რომელმაც 69 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა. იგი ამჟამად ბათუმის სახელით გამოდიოდა.

ძვირფასო ოზურგეთლებო! გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!
ჩემო ღიხაურებო, ოზურგეთლებო, გილოცავთ მართლმადიდებლობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

თამაზ სალუქვაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლამდელი საალმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მაკა ჭყონია,,
ცენტრის დირექტორი.



ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის ჯოელექტივი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ზაზა ჯინჭარაძე,
თეატრის დირექტორი.

ოზურგეთის დასუფთავების სამსახური გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მერაბ კურდღელაშვილი,
დასუფთავების სამსახურის უფროსი.

შპს «მოდერნი 2009» გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

(რ)

რესტორანი „ტონუსი" გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მისამართი: ქ. ოზურგეთი, აკაკის ქ.№29 (რ)

მაღაზია „ვესტელი" გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მისამართი: ქ. ოზურგეთი, აპ. წულაძის ქ. №13 (რ)

შპს „გუჩია XXI"(„ლუკოილი") გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მისამართი: ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქ. №92 (ზვანი) (რ)

C M Y K

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 858 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე
დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის" სტამბაში